



ევროკავშირი
საქართველოსთვის



KfW



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N41
დეკემბერი, 2023

აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემების სამშენებლო სამუშაოები იწყება

2023 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტები - ლოტი 1A (მოიცავს ხულოს და ქობულეთის დაბებს) და ლოტი 2A, 2B და 2C (მოიცავს აჭარის 39 სოფელს).

სს „აჭარის წყლის ალიანსმა“ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია GZA-სთან გააფორმა ხელშეკრულება. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში აჭარის 39 სოფელში და დაბებში მოსახლეობა თანამედროვე სტანდარტების, უწყვეტი წყალმომარაგების და გამართული წყალარინების ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისთვის სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის შერჩევის მიზნით, ტენდერი 2 ლოტად იყო გამოცხადებული და შერჩევა-შეფასების რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. საერთაშორისო ტენდერი KfW ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად განხორციელდა.

პროექტით დაგეგმილია წყალმომარაგების სათავე ნაგებობების, მაგისტრალური ქსელების, რეზერვუარების, წყალარინების გამწმენდი ნაგებობების, წყალარინების ქსელების, ლაბორატორიების და მუნიციპალური წყალმომარაგების საწარმოების ადმინისტრაციული შენობების და საწყობების მშენებლობა.

აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად დაიწყება და სოფლების ჩართვა ახალ, თანამედროვე სტანდარტების სისტემაში, ეტაპობრივად განხორციელდება.

პროგრამის განმახორციელებელმა „აჭარის წყლის ალიანსმა“ დააარსა მუნიციპალური წყალმომარაგების საწარმოები კომუნალური ინფრასტრუქტურის მდგრადი მართვის მიზნით. შეძენილია სპეციალური საექსპლუატაციო და ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც უკვე გადაეცა ყველა მუნიციპალიტეტის ახლად დაარსებულ საწარმოებს.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით, ევროკავშირის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის



KfW



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

NEWSLETTER N41

December, 2023

Commencement of construction works of the modern water supply and wastewater systems in Rural Ajara

On December 20th, 2023, the construction work contracts For LOT 1A (Semi-urban areas of Khulo and Kobuleti) and LOT 2A, 2B, and 2C (39 rural villages in all Rural Municipality of Ajara) were signed. Finally, the water supply and wastewater infrastructure of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program will be constructed.

The signing of the contract by the JSC Ajara Water Alliance and the contractor GZA was implemented in a ceremony in Batumi. The company won the contract during an international tender process.

In the framework of the infrastructure Program, the population of 39 villages and semi-urban areas of Ajara will benefit from the infrastructure of modern standards, uninterrupted water supply and well-managed wastewater system.

In order to select a construction company implementing the construction works for water supply and wastewater Program of Ajara semi-urban areas and villages, the tender was announced in 2 LOTs and included several stages of selection and evaluation. The international tender was carried out in accordance with the procurement guidelines of the KfW Development Bank.

The Program envisages the construction of water supply intakes, transmission mains distribution networks, reservoirs, water treatment plants, wastewater treatment plants, and buildings of municipal water supply utilities, including offices, workshops and warehouse facilities.

Construction works will start in parallel in all municipalities of Ajara, and the inclusion of villages in the new, modern standards system will be implemented step by step.

The Program implementer "Ajara Water Alliance" established municipal water supply utilities for sustainable management of communal infrastructure. Special Operation and Maintenance Equipments was purchased which was already provided to the newly established municipal utilities in all the municipalities.

The Ajara Rural Water Supply and Wastewater Program in semi-urban areas and rural villages is co-financed by the Federal Republic of Germany, through the KfW Development Bank, the European Union and the Government of the Autonomous Republic of Ajara.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



IRC
Supporting water sanitation
and hygiene services for life



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge